



ადმონსკლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 იანვარი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი;
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის კოორდინატორი, რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაცია;
3. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა";
4. კახა გოგოლაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი;
5. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია;
6. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია";
7. ნინო ტლაშაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადამიანის უფლებათა ცენტრი;
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა;
9. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება.

განსახილველი საკითხები:

- 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

შეხვედრის დასაწყისში, პლატფორმის თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა 2015 წელი და აღნიშნა, რომ მიუხედავად ტექნიკური გამოწვევებისა, რომლებიც საქართველოს ეროვნულ პლატფორმას წლის მეორე ნახევარში შეექმნა, 2016 წლისთვის პრობლემა აღმოიფხვრა და ევროდელეგაცია აგრძელებს საქართველოს ეროვნული პლატფორმის გაძლიერების მხარდაჭერას. როგორც ბატონმა ლაშა ტულუშმა აღნიშნა, პლატფორმას მთელი წლის განმავლობაში ექნება საშუალება აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით* გათვალისწინებული შესაძლებლობები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს.

საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები. ჩაინიშნა იანვრის ბოლომდე სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, სადაც სხვა აქტუალური საკითხების განხილვასთან ერთად, თითოეული სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს წლის სამოქმედო გეგმას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ასევე გააცნო, საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლობების დაარსების ინიციატივა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და რეგიონალური წარმომადგენლობების საბოლოო ლოკაცია შემდგენაირად გადანაწილდა: ზუგდიდი, ქუთაისი, გორი და ახალქალაქი. საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა, რომ მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება და რამდენიმე კვირაში კონკრეტული რეგიონალური ორგანიზაციებიც შეირჩევა.

საბჭოს წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს გორის არასამთავრობო ორგანიზაციის - „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“- ს პლატფორმაში გაწევრიანების განაცხადი. დამსწრეებმა ერთხმად დადებითად გადაწყვიტეს ორგანიზაციის პლატფორმაში გაერთიანების საკითხი.

შეხვედრის ბოლოს, გამომდინარე საკოორდინაციო საბჭოს წევრების მაღალი ინტერესისა, თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბატონ კახა კალაძის ექსპერტებთან გამართული შეხვედრის შედეგები.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.